თიბისი ბანკი

# Logitech-ის უკაბელო მაუსები და ყურსასმენები

სატენდერო დოკუმენტაცია



სს “თიბისი ბანკი” შემდგომში “მყიდველი” გიწვევთ ღია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge საშუალებით.

## I. ტენდერში მონაწილეობის წესები

**წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია 19.11.2024წ. 12:00 საათიდან 15:00 საათამდე.**

**ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:**
იოსებ გოლუბიანი 595 117 755 IGolubiani@Tbcbank.com.ge

**სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:**
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.com.ge

- ტენდერის შემდგომ დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.
- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო ფასს და შემოთავაზებული საქონლით დააკმაყოფილებს გამოცხადებულ ტექნიკურ პარამატრებს (იხ. სატენდერო დანართი N1).
- მომწოდებელი ვალდებულია სატენდერო დანართ N1-ში თავიდანვე მიუთითოს ზუსტი მოდელი და სპეციფიკაცია.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი სატენდერო განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

## II. სპეციალური პირობა

- იმ შემთვევაში თუ მოწოდებული საქონლის ჯამური რაოდენობის 10 პროცენტი აღმოჩნდება წუნდებული, მომწოდებელმა უნდა ჩაანაცვლოს აღნიშნული ტიპის სახარჯი მასალების მთელი პარტია.
- შემოთავაზებულ საქონელზე უნდა გვრცელდეს მინიმუმ 1 წლიანი გარნტია.
- მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ინვენტარის საწყობამდე მოტანა და დასაწყობება (იგულისხმება ტექნიკის საწყობის სივრცეში შეტანა და არა მათი დალაგება).
- ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვალდებულია ტენდერის ეტაპზე ბანკის მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინოს მომოვალში მოსაწოდებელი ტექნიკის ნიმუშები.
- შემოთავაზებული პროდუქცია უნდა შეასაბამებოდეს გარემოს დაცვით სტანდარტებს: ISO14001 ან EMAS. ასევე FSC, PEFC, CE ან სხვა მსგავსი ეკო-ეტიკეტირება.

## III. ტენდერის ფარგლებში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები და საქონლის დეტალური განფასება (**სატენდერო დანართი N1**);
- სრულად შევსებული KYP ფაილი (ექსელის ფორმატში) - ინფორმაცია პრეტენდენტის შესახებ;
- ხელმოწერილი და დასკანერებული აფიდავიტის ფორმა;